ადმინისტრაცუილი სამართლის ფილოსოფია

ლუკა კაზანჯი

სამართალი გახლავთ ნორმატიული რეგულატორი, რომელიც აერთიანებს ემპირიულ ფაქტოლოგიას და ლოგიკურ ასოციაციურ აზრობრივ კავშირთა ამსახველ იდეურ ბმებს. სამართალი გახლავთ სამართლიანობისა და კანონიერებისურთიერთმიმართების პრინციპთა შესახებ ჩამოყალიბებულ ფენომენოლოგიურ შეხედულებათა აბსტრაქციული მთლიანობა. ზოგადად კულტუროტროფულმა პროგრესმა შვა სამართალი, ხოლო იურიდიულმა მართლშეგნებამ და ისტორიულ-სამართლებრივმა მეხსიერებამ სათავე დაუდო კაცობრიობის ცივილიზირების პროგრესს. ჩემი სუბიექტური ხედვით იურისპრუდენცია კავკასიური მოვლენაა, რომლის თეოსოფიურ საწყისთა და მეტაფიზიკურ სათავეთა ძიებას საკრალურ ტელეპატიურ სამყაროს აზრობრივ კარიბჭეებთან მივყავართ. იურისპრუდენცია გახლავთ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე ორიენტირებული აპოფატიკური იდეების, რაციონალური შეხედულებების, მატერიალისტური საზრისების, ლოგიკური საწყისებისა და დეციზოინისტური იდეალების სისტემატიზატორი სამართალში გარდაქმნენი საწყისი საზრისად და იპოვე საზრისის საწყისი, მაშინ შენ სამართლებრივი მისტიციზმის უძირო ჭას მიადგები. სამართალს ქმნიან ადამიანები, ოღონდ რასაკვირველია გარკვეული იურიდიული უფლებამოსილების მქონე პირთა ხელმძღვანელობით. სამართლებრივ სამყაროში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს სამართლის ფილოსოფიის, მეტაფიზიკისა და ისტორიის მიგნებათა კუმულაციური განხილვა. ჩემი ხედვით უნდა გავაძლიეროთ ე.წ. ინტუიტიური მართლწესრიგი, რომლის ზენორმატიულ დონეზე განმტკიცება დიდად შეუწყობს ხელს საკაცობრიო გონის იურიდიულად აღწერასა და ე.წ. ფსიქოგენურ ტრანსფორმაციათა დესკრეფციული აღწერილობის შექმნას. ჩვენ იურისპრუდენციის ძლიერება განვამტკიცოთ ინსტიტუციონალურად, ნორმატიულად და ინტუიტიურად. სამართლის დარგთაგან ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ადმინისტრაციული სამართალი.

ზემოაღნიშნული მოძღვრება შეისწავლის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესის იურიდიულ თავისებურებებს განიხილავს მონისტურ ასპექტსა და ფილოსოფიურ პრიზმაში. ადმინისრტრაციული სამართლის მისიაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან გარკვეული სახის თანამდებობის მქონე პირის მიერ გამოყენებულ სამართლებრივ აქტთა დეონტურ და სილოვურ კომპონენტთა სრულფასოვანი შესწავლა, რაც კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სამართლის განვითარების სწრაფი ტემპისა. ადმინისტრაციული სამართლის ფილოსოფია შეისწავლის აქტში მოცემული საინფორმაციო ბაზისის იურიდიულ მახასიათებლებს, როგორც განმსაზღვრელთ სახელმწიფო ორგანოს მუშაობის ფესკრიფციულ აღწერის პრეოკრიფციულ ანფენორმატიულ საწყისთა კორელირებული ექსტრაპოლაციის გზით ახალი დედუქციურ-აქსიომატური აზრობრივი მოცემულობის ჩამოყალიბების ურთულესი პროცესისა. კონკრეტულ სამართლებრივ აქტში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის გონისმიერი ნებელობა და იურიდიული მეხსიერების საწყისთა ნორმატიული ცნებების სახით წარმოდგენილი სილოგური მთლიანობა - აქტი სამართლებრივი ნების და ამ საფუძველზე წარმოშობილი იურიდიული ნორმატიული მართწესრიგის დედუქციურ შრეთა წარმომქმნელ ინდუქციურ საწყისთა კორელირების შედეგად შექმნილი ფეონტური

საზრისების სუბსიმირებული მთლიანობაა. იურიდიულ აქტობრივ სამყაროში ერთმანეთს უხამებენ ნორმატიულ ბაზისსა და ფაქტოლოგიური კონდიციის ამსახველ ემპირიულ იდეათა სისტემატიზირებულ ნაირსახეობებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალი ირიენტირებულია სუბსუმფციის დოგმის და დეციზიონისტური იდეალების შერწყმაზე. ადმინისტრაციულ სამართალში ანგლოსაქსურმა იურიდიულმა სკოლამ ჩამოაყალიბა ე.წ. ტრანსატლანტიკური ადმინისტრაციის ცნება, რომელიც სამართლებრივ აქტს შეისწავლის, როგორც არა მხოლოდ ინსტიტუციონალურ ფენომენს, არამედ როგორც ემპირიულ - ანალიტიკური მოცემულობის სახით წარმოდგენილ გასაოცარ ისტორიულ-გენეტიკურ პირობას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების მუშაობის პრაქტიკულ ასპექტებს.

ადმინისტრაციული სამართალი გახლავთ ძალა, რომელიც გვესახება ხალხსა და სახელმწიფოს შორის დამაკავშირებელ ხიდად. ჩემი აზრით, ადმინისტრაციულ სამართალში ერთმანეთს საოცრად ჰარმონიულად ერწყმიან კონტინენტალური ევროპის სამართლის რაციონალური მიზები - კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა დაცვა და ანგლო-საქსური ტრანსატლანტიკური იურისპრუდენციის დეციზიონისტური მისწრაფებები - კერძოდ, ინტელექტუალურ ეგზისტენციათა აქსიოლოგიური სისტემატიზირების გზით საკაცობრიო ერთიანი კოსმოსტრატიული იურიდიული მართლწესრიგის შექმნას, რაც გააერთიანებს სინქრონს - სივრცეს და დიარონს - დროს, ანუ სამართალს გარდაქმნის სივრცობრივი და ეპოქალური კუთხითაც მდგრად აზრობრივ მოცემულობად.

ჩემი აზრით, ადმინისტრაციული სამართლის ფილოსოფია ეყრდნობა ნორმატიულ ბაზას, ასევე ემპირიულ თვითშემეცნებაზე დაფუძნებულ ფაქტოლოგიურ კონდიციებს, რომლებიც გარდაისახებიან სამეცნიერო კანონთა შემოქმედ - ნომოთეტურ აზრობრივ აბსოლუტებად.

ჩემი აზრით, ადმინისტრაციული სამართალი მონოვალენტურ აქტში განცხადებული პოლივალენტური იდეების რეგულატორად ძალგვიძს მივიჩნიოთ. ადმინისტრაციული სამართალი გახლავთ ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფოსა და მოსახლეობის დამაკავშირებელი რგოლის მუშაობის ჰიპოთეტურ მექანიზმთა შემსწავლელი იურიდიული მეცნიერება, რომლის მუდმივ ცვლილებებს განიცდის ეპოქალურ მოთხოვნათა ცვალებადობის შესაბამისად. შესაბამისად მეცნიერება აერთიანებს სამართლის, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიურ დოგმატიკაში გაბატონებულ ეგზისტენციალურ საზრისებს.

ჩვენ ადმინისტრაციულ სამართალში უნდა შევძლოთ არსებობაზე დამყარებით არასებულის მიღწევა და არასებულისკენ სრულფასოვანი სწრაფვის გზით არსებობის სრულყოფა.

ადმინისტრაციული სამართლის ფილოსოფია გახლავთ ერთგვარი კომპარატორი კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ-პოლიგენურ ჯგუფთა, ხშირ შემთხვევაში, ეზოთერულ საბურველში გახვეული მატერიალისტური მისწრაფებებისა. ჩემი სუბიექტური ხედვით, ადმინისტრაციული სამართალი გახლავთ ის ძალმოსილება, რომელიც იურისპრუდენციას ფოლოსოფიურ დოგმატიკური განვითარების საფეხურიდან

სამართლებრივ აზრთა მშობელ გონისმიერ საწყისზე გაბატონების უნარის მქონე ინტიუტიურ მოძღვრებად.